# გადაწყვეტილება

N გ-25-19/493
02/10/2025

493-გ-25-1-4-202510021633

**„მაუწყებლობის ავტორიზაციის განცხადებების ფორმების დამტკიცებისა და ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მოდიფიცირების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის №431/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**კომისიის სხდომის თარიღი:** 2025 წლის 2 ოქტომბერი.

## I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ 2025 წლის პირველ აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დოკუმენტის ნომერი: 390-IIმს-XIმპ; სარეგისტრაციო კოდი: 450140000.05.001.102540), რომლის შესაბამისად მაუწყებლობის სახეობებს დაემატა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის ასევე სათემო, კერძო, საუნივერსიტეტო მაუწყებლობის მომსახურებაზე და კულტურულ-შემოქმედებით რადიომაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზაციის სათანადო ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია „მაუწყებლობის ავტორიზაციის განცხადებების ფორმების დამტკიცებისა და ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მოდიფიცირების თაობაზე“ კომისიის 2012 წლის 22 ივნისის №431/22 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რაც საჭიროა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის მომსახურებაზე იურიდიული პირისთვის ავტორიზაციის მისაღებად ასევე ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრს დაემატოს შესაბამისი მონაცემები.

## II. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 და $36^2$ და 37-ე მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 32-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

**გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „მაუწყებლობის ავტორიზაციის განცხადებების ფორმების დამტკიცებისა და ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მოდიფიცირების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის №431/22 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის);
2. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ცნობილ იქნას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის №431/22 გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. მოდიფიცირდეს კომისიის მიერ წარმოებული ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართის შესაბამისად;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (დ. ოდიშარია) ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოდიფიცირების უზრუნველყოფა 2025 წლის პირველ ნოემბრამდე;
5.დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის პირველი ნოემბრიდან;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ; №6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი